

ფოტომონტაჟი

- მოპირკეთება ტრავერტინის ქვით
- მოპირკეთება ბაზალტის ქვით
- ალუმინის ჯარი/ვიტრაჟი - შავი ფერის ალათებით
- ალუმინის ფრამუგა - შავი ფერის ალათებით
- ლითონის მოაჯირი
- ლითონის ღობე











მესხიშვილის ქუჩა №23-ის მიმდებარე ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

საკვლევი ტერიტორია წარმოადგენს 200 კვ/მ. ფართობის თავისუფალ მიწის ნაკვეთს მესხიშვილის ქუჩაზე, ძველი თბილისის ერთ-ერთ უბანში – ავლაბარში.

ავლაბარი თბილისის აღმოსავლეთით, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. ტოპონიმი ავლაბარი, ს. ჯანაშიას და შ. მესხიას განმარტებით არაბული წარმოშობისაა და "სასახლის მიდამოს" ნიშნავს („ჰავალი" – მიდამო, „ბორ" – სასახლე). მათგან განსხვავებით, თ. ბერიძე ამბობს, რომ „ბარ" თხრილს, სანგარს, ზღუდეს, ღობეს, გალავანს, მიწაყრილს ნიშნავს და ავლაბარს ხსნის, როგორც „გალავნის იქეთა მიდამოს". მისი აზრით, ავლაბარი ეწოდება ძველი სოღდებილის ნაწილს, "ისანის ველს".[1]

როგორც ცნობილია, ვახუშტის დროს თბილისის ძირითადი ნაწილებია: კალა, საკუთრივ ტფილისი, ანუ სეიდაბადი, ისნი (ანუ ისანი), რომელსაც ამ დროს უკვე ავლაბარს უწოდებენ, და გარეთუბანი. ვახუშტი არაფერს ამბობს თუ როდის უნდა გაჩენილიყო "ისნის" სინონიმად "ავლაბარი". შ. მესხია კი სავარაუდოდ ამ ამბავს XIV საუკუნეს მიაწერს.[2]

ავლაბრის ტერიტორიის ლოკალოზაციისათვის საყურადღებო ცნობას გვაწვდის XIX ს. შედგენილი დოკუმენტი: "Предместье гор. Тбилиса, Авлабар возникший возле известной в истории Грузии под названием "Исни" или "Исани" царской резиденции и крепости."[3]

სვეტიცხოვლისადმი შეწირულობის სიგელში "ტფილისს ქალაქი" ცალკეა, ხოლო ავლაბარი მისგან დამოუკიდებელი პუნქტია, რომელსაც თავისი მამული და ჭალა აქვს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ავლაბარი ცალკე დასახლებაა, რაც არ შეიძლება ითქვას "ისანზე", ანდა "მეტეხზე"[4]. XIV ს. დასასრულიდან ავლაბარი წერილობით წყაროებში აღარ გვხვდება და კვლავ ჩნდება მხოლოდ XVI ს. მიწურულს.[5]

XVII საუკუნეში ავლაბარს საკმაოდ დიდი ფართობი ეკავა. იგი ასე შემოისაზღვრებოდა: ჩრდილოეთიდან - ჩუღურეთის (ავლაბრის, სურბ-კარაპეტის,

---

[1] თ. ბერიძე, ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბილისი 1977, გვ. 134, 135
[2] თ. ბერიძე, ...და აღმოცენდა თბილისი, თბილისი, 1977, გვ. 112.
[3] თ. ბერიძე, ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, გვ. 135
[4] თ. ბერიძე, და აღმოცენდა თბილისი, გვ. 113
[5] იქვე, გვ. 115

ახვლედიანის) ხევით, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – ღომელაურით და დირსიჭალის ბაღებით, დასავლეთიდან – მდინარე მტკვრით და მეტეხის ციხით.[6]

XVII საუკუნიდან ავლაბრის ტერიტორიაზე ხელახლა იწყება დასახლება. 1654 წელს ვაჭარ ხოჯა ბეჰბუდას მეფე როსტომმა გარე ავლაბარში, მახათას მთის ძირას, სასაფლაოსთან ეკლესიის ადგილი უბოძა. შემდეგში ეს ეკლესია ცნობილი გახდა ხოჯა-ვანქის სახელით. ხოჯა ბეჰბუდას, მახათას ძირიდან თავისი ბაღ-ვენახის სარწყავად არხი გამოუყვანია.[7]

XVIII ს. თბილისის სხვა გარეუბნებთან შედარებით ავლაბარი ხშირად იხსენიება. ის სახასო მამულია, სადაც სახლობენ როგორც სამეფო, ასევე დედოფლის, თავად-აზნაურთა, საკათალიკოსო თუ საეპისკოპოსო (თბილელის) ყმა გლეხები. აქ, ქართველების გარდა, ცხოვრობენ აგრეთვე სომხები და მუსლიმები.

ავლაბარი იმთავითვე "დაბალი" ფენების საცხოვრებელი უბანი იყო. 1840-იან წლებში, როცა ხელისუფლებამ ავლაბრის ხელახელი დაგეგმვა და მოწესრიგება განიზრახა, ავლაბრის მოსახლეობას ძირითადად სახაზინო გლეხები შეადგენდნენ. მაგრამ ავლაბარში და უფრო მეტად ე. წ. ძაღლის სოფელში (Собачий поселок) საბატონო ყმებიც დასახლებულან.[8]

ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის გეგმაზე თბილისი გალავანშემორტყმულია, მეტეხის ციხის მიმდებარე ტერიტორია კი შემოუზღუდავია. ავლაბრის ტერიტორია სამხრეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ძველი თხრილითაა შემოფარგლული და მასზე საცხოვრებელი სახლების აღმნიშვნელი უჯრედებია დატანილი.

ავლაბრის კედელში, დოკუმენტების მიხედვით, ორი კარი იყო გაჭრილი – "პატარა კარი" და "ავლაბრის კარი". ვახუშტის გეგმაზე "ავლაბრის კარს" პირველად ვხვდებით. იგი მეტეხის გალავნის ზღუდეში აღმოსავლეთიდან იყო დატანებული და ქალაქს სოფელ ავლაბართან აკავშირებდა. გეგმის თანახმად, კართან თავს იყრიან აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან წამოსული გზები: ბაღების გზა, კახეთის გზა, შუატბის გზა, ავჭალის გზა, ზედა გზა.

ავლაბრის კარი აღნიშნულია აგრეთვე ალ. პიოჩევიჩის "თბილისის 1782 წლის გეგმაზე". ვახუშტის გეგმისაგან განსხვავებით, აქ თვით ავლაბარი უკვე შემოზღუდულია, ხოლო ზღუდის იქეთ კიდევ არის ე. წ. "გარეთ ავლაბარი". "ავლაბრის კარი" აქაც გალავნის აღმოსავლეთითაა დატანილი. მასთან მხოლოდ

---

[6] იქვე, გვ. 116.
[7] იქვე.
[8] ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წლები, თბილისი, ტ. I, 1960, გვ. 34.



1. ხედი ავლაბარზე, XIX საუკუნის ბოლო. დიმიტრი ერმაკოვის ფოტო თბილისის ისტორიის მუზეუმი



2. ხედი ავლაბარზე, XIX საუკუნის ბოლო. დიმიტრი ერმაკოვის ფოტო თბილისის ისტორიის მუზეუმი



3. ხედი ავლაბარზე, XIX საუკუნის ბოლო. დიმიტრი ერმაკოვის ფოტო თბილისის ისტორიის მუზეუმი



4. თბილისის ხედი წმ. დავითის ეკლესიიდან. 1909-1915 წელი. სერგეი პროკუდინ-გორსკის ფოტო.


















უახლოესი უბანია. გალავანში დატანებულ კართა მეშვეობით, აქ თავს იყრიდნენ სხვადასხვა მხრიდან წამოსული მგზავრნი. ავლაბარს თავისი ბაზარიც ჰქონდა. აქვე იდგა ქარვასლა – შორი გზიდან მოსულ მგზავრთა თავშესაფარი-სასტუმრო და ქარავნებით ჩამოტანილი საქონლის საწყობი.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში შეიქმნა რამდენიმე ქალაქგეგმარებითი პროექტი, რომლებიც განუხორციელებელი დარჩა. ერთი მათგანი განეკუთვნება 1828 წელს – "Новый план г. Тифлиса". მასზე ნაჩვენებია გარეთუბნისა და ავლაბრის ახალი დაგეგმვა. პროექტის მიხედვით, შიგნით ავლაბარში გათვალისწინებულია ქუჩების გასწორება, ვიწრო შესახვევების გაუქმება და განივი ქუჩების დამატება. ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ავლაბრის უბანში კი სურათი მთლიანად შეცვლილია. აქ მოუწესრიგებელ განაშენიანებას სწორკუთხა კვარტლები ცვლის. ამ ორი უბნის შეერთების ადგილას ექვსწახნაგოვანი დიდი მოედანი თავს უყრის ქუჩების ქსელს.[12]

მეორე პროექტი, რომელიც მხოლოდ ავლაბრის უბანს მოიცავს, მთავარმართებელ პასკევიჩის მიერაა დამტკიცებული 1831 წელს. პროექტი – "Укрепление . . . с воинскими и партикулярными зданиями" სანახევროდ სამხედრო ბანაკის შექმნას ითვალისწინებდა. ახალი გალავანი მას აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ფარგლავს და ორივე ბოლოთი კლდეებს ებჯინება. გეგმის საფუძველი აქაც ურთიერთგადამკვეთი პარალელური ქუჩებია, მაგრამ დიდი სწორკუთხა მოედანი უკვე ახალი უბნის შუაშია მოთავსებული და საკუთრივ ავლაბარს მხოლოდ ერთი კუთხით უკავშირდება. მოედნის ცენტრი უჭირავს ეკლესიას, რომლისკენაც მიმართულია სამი მხრიდან მიმავალი მთავარი ქუჩები. მოედნის ორი მხარე საცხოვრებელ სახლებს აქვს დათმობილი, ორიც – ყაზარმებს, ოფიცერთა სახლს და სხვა. ამ გეგმის შესახებ ვ. ბერიძე აღნიშნავს: "რაიმე ხუროთმოძღვრულ ანსამბლზე ლაპარაკი აქაც ძნელია; არც ასაგები შენობების სახეა გათვალისწინებული და არსებითად, თუ არ ჩავთვლით გალავნის უქონლობას კლდეების მხარეს, არც ადგილმდებარეობას (უფრო სწორად, ბუნებას) ეწევა ანგარიში: ასეთი გეგმა მექანიკურად შეიძლება გადავიტანოთ ყოველ ვაკე ადგილს. და მაინც, აქაც საქმე გვაქვს ქალაქის მთელი ნაწილის ერთიანად გააზრებულ პროექტთან."[13]

---

[12] ტ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წლები, თბილისი, ტ. I, 1960, გვ. 28-29
[13] იქვე, გვ. 30

ქალაქის ევოლუციის შესახებ თვალსაჩინო მასალას გვაწვდის აგრეთვე თბილისის სხვადასხვადროინდელი გეგმები. მაგალითად, 1867 წლის გეგმაზე ქალაქი ოთხ ნაწილადაა დაყოფილი. ესენია: გარეუბანი, ძველი ქალაქი, ავლაბარი და კუკია-ჩუღურეთი. ჩვენთვის საინტერესო მიკროუბანი მესამე ნაწილშია მოქცეული. ამ დროისათვის აქ გაკვალულია მხოლოდ ძირითადი ქუჩების ქსელი – ჩვენი საკვლევი ტერიტორიის გარშემო ესენია დღევანდელი დუშეთის, გელათის, იორის, ხიდისთავის, ავლაბრის, მესხიშვილის ქუჩები. ქუჩების უმეტესობა და მათ შორის მესხიშვილის ქუჩა ამ დროისთვის უსახელოა. არის სამი მოედანი – კახეთის (შემდგომში ავლაბრის, ახლა ქეთევან წამებულის), თივის და რიყის. დგას ცხრა ეკლესია, მათგან ოთხი მართმადიდებლური – მეტეხის ღმრთისმშობლის, ფერისცვალების (ქალთა მონასტერი, ადრინდელი წმ. დარიასა და ერეკლეს ეკლესია), მირქმის (ადრინდელი წმ. მარინე), მთავარანგელოზ მიქაელის და ხუთი სომხურ-გრიგორიანული: წმ. გიორგის (ძორაბაში), შამქორელების ღმრთისმშობლის (კარმირ ავეტარანი), ეჩმიაძინელების წმ. გიორგის, წმ. მინასის და წმ. იოანე ნათლისმცემლისა. არის აგრეთვე ორი ქარვასლა – ზუბალოვისა და სარქისოვისა, ორი ბაზარი – უნაგირების რიგი (Шорные ряды) და თევზის რიგი, ყაზარმები და სხვა.

1884 წლის გეგმაზე ქალაქი უკვე ათი ნაწილისაგან შედგება. ავლაბარი გეგმაზე მეშვიდე უბნადაა აღნიშნული. ამ დროისათვის ის 100 ქუჩას, შესახვევსა და ჩიხს მოიცავს. ეკლესიების რაოდენობა ამ დროისათვის თორმეტამდეა გაზრდილი, ხოლო მოედნებს დაემატა კიდევ ერთი – ვარდის მოედანი (მას თავდაპირველი სახელწოდება დღემდე აქვს შენარჩუნებული).

აღნიშნული პერიოდისთვის საკვლევ ტერიტორიაზე არსებულ ყველა ქუჩას თავისი სახელი აქვს: მესხიშვილის ქუჩას – Лазаревская улица, ავლაბრის ქუჩას – Авлабарская улица, ვახტანგ VI ქუჩას – Вахтангская улица, გონაშვილის (საბჭოთა პერიოდში – 26 კომისრის) ქუჩას – Розовая улица, არარატის ქუჩას – Авлабарско-Георгиевская улица, ალაზნის ქუჩას – Армянская улица, ხოლო არმაზის ქუჩას – Ечмиадзинская улица და ა. შ.

XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში თბილისის ბურჟუაზიის ნაწილი ავლაბარშიც სახლდება.[14] უბანს, მართალია, ძირითადად საცხოვრებელი ფუნქცია ჰქონდა, თუმცა აქ სხვა დანიშნულების შენობებიც იდგა. 1903-04

[14] ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წლები, თბილისი, ტ. I, 1960, გვ. 34

წლების თბილისის გეგმის თანახმად, ავლაბარში, გარდა ეკლესიებისა, იყო უსინათლოთა სასწავლებელი, საეკლესიო სამრევლო სკოლა, ვაჟთა მე-5 გიმნაზია, მიტოვებულ ბავშვთა თავშესაფარი, ფაბრიკა, VII საპოლიციო უბნის სამმართველო, ყაზარმები. დიდი ადგილი ეკავა ხოჯევანქის სასაფლაოსა და მონასტერს. 1920-იან წლებში აშენდა ე. წ. Покровские ყაზარმები.[15]

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ფართომასშტაბიანი სამშენებლო საქმიანობა მეტნაკლებად ავლაბარსაც შეეხო. 1930-იან წლებში დაანგრიეს სომხური ეკლესიებიდან ყველაზე ადრეული (XVII ს.) ხოჯავანქის ეკლესია და მასთან ერთად აიღეს აქ არსებული სომხური სასაფლაო, რომლის ნაცვლადაც ხოჯავანქის პარკი გაშენდა.[16]

1960-იან წლებში რეკონსტრუქცია შეეხო ქეთევან წამებულის მოედანს, სადაც ავლაბრის (ყოფილი 26 კომისრის) მეტროპოლიტენის სადგური მოეწყო (არქ. ს. რევიშვილი, ზ. ჭიჭინაძე).[17]

თანამედროვე შენობებიდან ყველაზე მსხვილმასშტაბიან ნაგებობას სამების საკათედრო ტაძარი წარმოადგენს (არქ. ა. მინდიაშვილი). სამების ტაძრის მშენებლობა მახათას მთაზე (ყოფილი ხოჯავანქის ეკლესიის და სომხური სასაფლაოს ადგილას) 2004 წელს დასრულდა. ტაძარი თავისი მასშტაბითა და არქიტექტურული ფორმებით არამარტო მიმდებარე ტერიტორიის დომინანტია, არამედ ნათლად იკითხება ქალაქის სხვადასხვა წერტილიდანაც.

საკვლევი ტერიტორიის აღწერა და მხატვრულ-არქიტექტურული შეფასება

საკვლევი მიწის ნაკვეთი (მესხიშვილის ქ. №23) ქუჩის მჭიდრო განაშენიანებაშია მოქცეული. მარცხნიდან მას ერთსართულიანი უსახური სახლი ესაზღვრება, მარჯვნიდან XX-XXI საუკუნეების მიჯნის ოთხსართულიანი სახლი, რომელიც მასშტაბითა და არქიტექტურული გადაწყვეტით არ შეესაბამება მიკროუბნის ხასიათს. უკანა მხრიდან კი ფარგლავს ე. წ. რუსული აგურით ნაგები ორსართულიანი სახლის ყრუ კედელი. (წერეთლის ქუჩა №8). შენობა მარტივი შეულესავი ფასადით არის მიმართული ქუჩისაკენ, ხოლო შიდა ეზოსკენ თბილისური ტიპის ხის ჭვირული აივნებით იხსნება.

მესხიშვილის ქუჩა, რომელიც მიკროუბნის ერთ-ერთ მთავარ ქუჩას წარმოადგენს, ქეთევან წამებულის მოედნიდან იწყება და ურიცკის ქუჩამდე

---

[15] იქვე, გვ. 54.
[16] თ. ბერიძე, ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, გვ. 145.
[17] ნ. ჯანბერიძე, ქართული საბჭოთა არქიტექტურა, თბ. 1971, გვ. 142.

გრძელდება. მისი ისტორიული განაშენიანება ძირითადად XIX-XX საუკუნის მიჯნაზე აგებული ერთ და ორსართულიანი შენობებით იქმნება, რომლებიც აღნიშნული პერიოდისათვის დამახასიათებელი ფასადებით ქუჩის მხარეს არიან მიმართული, ხოლო შიდა მხრიდან მცირე ზომის ეზოებს მოიცავენ. მათ შორის რამდენიმეს უძრავი ძეგლის სტატუსი აქვს (მესხიშვილის ქ. №24/ავლაბრის ქ. №27; მესხიშვილის ქ. №41/ ერევნის ქ. №1). შენობებიდან მხატვრული ღირებულებით გამოირჩევა მაგ: სახლი №18, რომელიც ე. წ. რუსული აგურითაა ნაგები. იგი მთავარი ფასადით ქუჩისკენაა მიქცეული და არქიტექტურული ელემენტებით, ლითონის აივნებითა და წინფრებით არის გაფორმებული. ასევე 1898 წელს აგებული ორსართულიანი სახლი (მესხიშვილის ქუჩა №24), რომელიც ავლაბრის, მესხიშვილისა და არმაზის ქუჩების გადაკვეთას მოიცავს და თითეულ მათგანზე ფასადით გადის. ეკლექტური ფასადები ბრტყელი პილასტრებით, ფანჯრის პლასტიკურად ნაძერწი თავსართებით, ნახევარწრიული ფრონტონებითა და ლითონის აივნებით არის შემკული.

მესხიშვილის ქუჩის ისტორიულ გარემოს მნიშვნელოვნად არღვევს განაშენიანებაში უხეშად ჩართული ბოლოდროინდელი მაღალსართულიანი შენობები, რომელთა გაბარიტები და ექსტერიერის მხატვრული გადაწყვეტა არ შეესაბამება მიმდებარე გარემოს.

შენობებს უმთავრესად საცხოვრებელი ფუნქცია აქვს, თუმცა გვხვდება სხვა დანიშნულების რამდენიმე ნაგებობა. მაგ: თბილისის ებრაული სათემო სახლი, რომელიც დაარსებულია ჰელენ პოზნერისა და ჰენრი პოზნერ უმცროსის ხელშეწყობით (აგებულია 1990-იან წლებში), ახალსამოციქულო ეკლესია (აშენებულია 1990-იან წლებში), ასევე არის წვრილი სავაჭრო ობიექტები, რომლებიც ცალკეული სახლების პირველ სართულზეა განთავსებული.

საკვლევი ტერიტორიის მიმდებარე ქუჩებზე, – ავლაბრის, ვახტანგ VI-ის, წერეთლის – მესხიშვილის ქუჩის მსგავსად, განაშენიანებას დაბალსართულიანი ისტორიული ნაგებობები ქმნის. მათი ფიზიკური მდგომარეობა აქაც ძალიან მძიმეა. საცხოვრებელი სახლების უმეტესობას აღენიშნება კედლების დეფორმაცია და კონსტრუქციული ბზარები (მაგ: წერეთლის ქ. №8), ზოგი კი საცხოვრებლად უვარგისია (მაგ: წერეთლის ქ. №20).

ისტორიულ გარემოს მნიშვნელოვნად ლახავს თანამედროვე მაღალსართულიანი შენობები, რომელთა მშენებლობა დღეს სტიქიურად მიმდინარეობს. თავიანთი მოცულობით, სართულიანობით და ექსტერიერის



არქიტექტურული გადაწყვეტით ისინი არ შეესაბამება მიკროუბნის ხასიათს და არღვევს მის მხატვრულ-ისტორიულ სახესა და ურბანულ სტრუქტურას.

რეკომენდაციები:

- შენობის დაპროექტებისას გათვალისწინებული უნდა იქნას მიკროუბნის ისტორიული განაშენიანების ხასიათი.
- ნაგებობის მოცულობითი სტრუქტურა არ უნდა არღვევდეს ქუჩის მასშტაბს.
- შენობის ექსტერიერი იყოს სადა, მარტივად დანაწევრებული.
- ნაგებობის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს სამ სართულს.

ბიბლიოგრაფია:

ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წლები, თბილისი, ტ. I, 1960, ტ. II, 1962.

თ. ბერიძე, ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბილისი, 1977.

თ. ბერიძე, . . . და აღმოცენდა თბილისი, თბილისი, 1977.

საქართველოს ძველი ქალაქები, თბილისი, თბილისი, 2002.

ი. გუნია, მცხეთა-თბილისის ეპარქიის ტაძრები, თბილისი, 2002.

ნ. ჯანბერიძე, ქართული საბჭოთა არქიტექტურა, თბ. 1971

მანონ ლილუაშვილი:

ნათია ნაცვლიშვილი:

